



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №11

ქ. ლანჩხუთი

19. 11. 2019 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია,

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე თორნიკე ტიკაძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადების დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ოქტომბრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე

მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

8. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 29 ნოემბერი, 11:00 საათი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2020-2023 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ შიდა პროდუქტის წარმოების დონის მატებასთან დაკავშირებით ხდება პრიორიტეტის დოკუმენტში ცვლილება. შესაბამისად, წარმოდგენილ პროექტში განხორციელდა ცვლილება და იგი გათვლილია 2023 წლამდე, მაგრამ მუნიციპალიტეტის ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით დაკონკრეტება მოხდა 2020 წლისთვის. აღნიშნულ პროექტში პრიორიტეტები გაშლილია არსებული სიტუაციისა და სათანადო რესურსების გათვალისწინებით, მაგრამ საბოლოო სახით არ არის წარმოდგენილი ინფრასტრუქტურა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტი იმყოფება განხილვის სტადიაში და მუნიციპალიტეტისთვის რეალურად თანხების გამოყოფა ხდება თებერვლის თვეში.

აქედან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდება თანდათან წარმოდგენილი მასალების მიხედვით.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია. 2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, სოციალურ საკითხთა, განთლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის, ასევე 2020-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და ამ დანართის შემუშავება განხორციელდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგია, სხვა მეთოდურ მითითებებთან ერთად, განსაზღვრას საქართველოს სახელმწიფო, ავტონომური და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების შედგენის ფორმატს, ბიუჯეტის სტრუქტურას, დანართებს და ინფორმაციის ჩამონათვალს თუ რას უნდა მოიცავდეს წლიური ბიუჯეტის პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია. პროგრამულ დანართში, ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტისაგან განსხვავებით, მუცემულია ლანჩუთის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების და ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები. მასში წარმოდგენილია ის პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლთა დაფინანსებასაც ითვალისწინებს 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი. პროგრამების (ქვეპროგრამების) აღწერა

და ასიგნებების საპროგნოზო მოცულობები წარმოადგენილია მომავალ 4 წელზე, ხოლო მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები ხშირ შემთხვევებში მოიცავს მხოლოდ 2020 წელს. მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტი შეადგენს 9 644 457 ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ბალანსი დღეის მდგომარეობით განისაზღვრა 10742 400 ლარით. ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 10 337 500 ლარით, გადასახდელები - 10 742 400 ლარით, ნაშთის ცვლილება - 404 900 ლარით; ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა 10 030 600 ლარით, გადასახადები შეადგენს 8 796 400 ლარს ბიუჯეტის გრანტები განისაზღვრა 220 000 ლარით, სხვა შემოსავლები კი- 1 014 200 ლარით. აქედან, შემოსავლები საკუთრებიდან -160 000 ლარი, რენტა-160 000 ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია-74 200 ლარი, ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები-24 200 ლარი, სანებართვო მოსაკრებელი-11 200 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის-13 000 ლარი, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მოსახურება-50 000 ლარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები)-750 000 ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები-30 000 ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 10 320 300 ლარით, აქედან შრომის ანაზღაურება -4 932 500 ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 57 100 ლარით. მათ შორის არაფინანსური აქტივების ზრდა-364 000 ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება-306 900 ლარით.

მუნიციპალიტეტის მერმა ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 988,6 ათასი ლარი. აქედან: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება-100 000 ლარით; გზების მიმდინარე შეკეთება -100 000 ლარით; წყლის სისტემების განვითარება-63 000 ლარით; სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია-63 000 ლარით; გარე განათება-345 000 ლარით; გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია-345 000 ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები-105 000 ლარით; შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია-5 000 ლარით; სასაფლაოების მოვლა-პატრონობა-100 000 ლარით; მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება-25 600 ლარით; საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა-350 000 ლარით.

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების

მოვლაპატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,150.5 ათასი ლარი. აქედან: დასუფთავება და ნარჩენების გატანა-1000 000 ლარით; მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა-145 500 ლარით; უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები-5 000 ლარით.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ ხდება მაწანწალა ძაღლების უკან დაბრუნება. მისი აზრით, ხომ არ არის უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული თანხა წყალში გადაყრილი.

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა. განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2,518.0 ათასი ლარი. აქედან: სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება-2 500 000 ლარით; განათლების ღონისძიებები-18 000 ლარით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის **გიორგი ჩახვაძის** თქმით, უამრავი ბავშვი უტრანსპორტობის გამო ვერ ახერხებს საბავშვო ბაღში სიარულს.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით პრობლემას მუნიციპალიტეტი ამ ეტაპისთვის და სავარაუდოდ, ვერც შემდგომ, ვერ გაითვალისწინებს, რადგან ფინანსურად ამის შესაძლებლობა ნამდვილად არ გააჩნიათ.

მუნიციპალიტეტის მერმა ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე

ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2,225.2 ათასი ლარი. აქედან: სპორტის სფეროს განვითარება-1 053 000 ლარით; სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა - 1 033 000 ლარით; სპორტული ცენტრის ხელშეწყობა- 513 000 ლარით; სტადიონის ფუნქციონირება- 160 000 ლარით; ქალთა სპორტის განვითარება-130 000 ლარით; საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა - 230 000 ლარით; სპორტული ღონისძიებები-20 000 ლარით;- კულტურის სფეროს განვითარება- 1 162 200 ლარით; კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა-1 108 200 ლარით; კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა -800 000 ლარით; სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა - 308 200 ლარით; კულტურის ღონისძიებები-14 000 ლარით; რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 40 000 ლარით; ახალგაზრდობის მხარდაჭერა -10 000 ლარით.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 701,8 ათასი ლარი. აქედან: ჯანმრთელობის დაცვა-125 000 ლარით; საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა-125 000 ლარით; სოციალური დაცვა -576 800 ლარით; ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯი-38 800 ლარით; მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა- 36 000 ლარით; სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა-92 000 ლარით; ცენტრ „იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა- 13 000 ლარით; მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა-7 600 ლარით; მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა-90 000 ლარით; იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა-15 300 ლარით; ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა- 56 600 ლარით; მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა- 67 000 ლარით; „გამარჯვებულ ქალთა კლუბის" სარეაბილიტაციო პროგრამა-37 200 ლარით; 100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა- 1 500 ლარით; მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა -50 000 ლარით; უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა-2 500 ლარით; ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა-19 500 ლარით; მედიკამენტის შეძენაზე დახმარების პროგრამა-15 000 ლარით; შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა- 9 800 ლარით; ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა

და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა- 25 000 ლარით.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზრვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება. პრიორიტეტი ასევე ითვალისწინებს ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრის დაფინანსებას. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები განისაზღვროს- 3 088 700 ლარით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვლადიმერ ნანაძემ** აღნიშნა, რომ ძალიან მწვავედ დგას ქალაქში საზოგადოებრივი საპირფარეშოს საკითხი, რაზეც მუნიციპალიტეტის მერის აზრით, ეკონომიის ხარჯზე შეეცდებიან მის გაკეთებას. ამასთან, ადგილიც უნდა შეირჩეს.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის **გიორგი ჩახვადის** აზრით, საბავშვო ბაღებში ძალიან მცირე ანაზღაურება აქვთ აღმზრდელ-პედაგოგებს იმ პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რაც მათ აკისრიათ და იქნებ გამოინახოს ბიუჯეტში თანხები საკითხის მოწესრიგების კუთხით.

მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ 2020 წლის სექტემბრიდან სკოლამდელ დაწესებულებებში იგეგმება ხელფასების ზრდა, რომელიც შეეხება თანამშრომლების გარკვეულ კატეგორიას და არა ადმინისტრაციას. წარმოდგენილ პროექტში ამ კუთხით შესაბამისი რესურსი არ დევს, მაგრამ მიმდინარეობს გარკვეული სამუშაოები და როდესაც გამოვა მთავრობის შესაბამისი განკარგულება, იგი აუცილებლად უნდა შესრულდეს. ამასთან აღნიშნა, რომ სკოლამდელი დაწესებულებების სფერო ერთ-ერთი ყველაზე მოწესრიგებულია როგორც მუნიციპალიტეტში, ასევე ქვეყნის მასშტაბით. ის დაეთანხმა იმ მოსაზრებასაც, რომ საბავშვო ბაღში დასაქმებულ ადამიანებს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ. ისიც ცხადია, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი ცენტრს თითქმის ყველაზე მეტი დაფინანსება აქვს, ვიდრე სხვა ა(ა)იპ-ებს, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერის აზრით, თანამშრომლების რაოდენობა ბაღებში გადაჭედულია.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე** დაეთანხმა მუნიციპალიტეტის მერს და აღნიშნა, რომ თითო ბავშვზე თითქმის თითო აღმზრდელი მოდის.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარემ **გოგი მორჩილაძემ** აღნიშნა, რომ აკეთში უტრანსპორტობის გამო უჭირთ ბავშვების ტარება საბავშვო ბაღში. მისი განცხადებით, არ უნდა ჩაითვალოს, რომ საბავშვო ბაღი არის უფასო, რადგან მშობლები თვეში 30-40 ლარს უხდიან სამარშრუტო ავტომანქანას.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ თავიდან იქნა შეცდომა დაშვებული, როცა საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მისი აზრით, მშობლების ის ნაწილი, რომელთაც აქვთ თანხის გადახდის საშუალება, უნდა იხდიდნენ საბავშვო ბაღის საფასურს 15-20 ლარის ოდენობით და მაშინ ყველა ბავშვი შეძლებდა სიარულს. მას აინტერესებს, დღეს რატომ არ შეიძლება ასე მოიქცნენ? კარგად იცის, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს ტრანსპორტის მთლიანად დაფინანსების საშუალება, მაგრამ მაშინ უნდა შეიცვალოს ამ კუთხით მიდგომა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაეთანხმა კოლეგას და აღნიშნა, რომ უმჯობესია ოჯახმა გადაიხადოს მიზერული თანხა-15 თუ 20 ლარი. მშობლებიც უფრო კმაყოფილი იქნება, როცა ტრანსპორტი მოემსახურება და ბავშვი შეძლებს საბავშვო ბაღში სიარულს.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარემ **გოგი მორჩილაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ სასწავლო სემესტრი მთავრდება და აკეთის სკოლაში გადმოსულ ბავშვებს წიგნები არ აქვთ და ქსეროასლებს აკეთებენ. წერილი რესურსცენტრის ხელმძღვანელობისათვის მიწერილია, მაგრამ რეაგირება ან წიგნები ჯერ ჩამოსული არ არის. მას აინტერესებს, რატომ არ უნდა იყოს სკოლა ასეთი კონტიგენტისთვის მზად ან საიდანაც ბავშვი გადმოვიდა, იმ სკოლაში რატომ არ არის წიგნების საკითხი გარკვეული. გარდა ამისა აღნიშნა, რომ სოფელ აკეთში ძალიან მწვავედ დგას უგზოობის პრობლემა. ზოგი მშობელი მზადაა გადაიხადოს ტრანსპორტის საფასური, მაგრამ უგზოობის გამო მანქანა ვერ მიდის ოჯახებამდე. ასევე, მოსწავლეები იძულებულები არიან 1-2 კილომეტრი ფეხით გაიარონ, რათა მივიდნენ სკოლის სამარშრუტო ავტომანქანამდე. ამას გარდა, სასწრაფო დახმარების მანქანაც ხომ უნდა მივიდეს ავადმყოფამდე?

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, მუნიციპალიტეტი ვერ განახორციელებს იმას, რომ მშობლებს გადაახდევინოს საფასური, მაგრამ ზოგადად, მიდის მუშაობა იმ კუთხით, რომ ბაღები გახდეს კერძო, ამასთან, სოციალურად დაუცველი ბავშვები იქნებიან გადასახადიდან გათავისუფლებულები. მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და რესურსის გათვალისწინებით მაქსიმალური კეთდება შესაძლებლობების ფარგლებში.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ სოფლებში თითქმის ყველა კვირაში თუ თვეში არის პრობლემა წყლით მომარაგების სისტემასა და მის სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით. კარგია, რომ ამ კუთხით ფინანსები გაზრდილია, მაგრამ მისი აზრით, წლის განმავლობაში თანხის ეს რაოდენობა, სავარაუდოდ, მცირეა და არ იქნება საკმარისი.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, ვერ იქნებიან ვალდებულები, წყალგაყვანილობის სისტემას სრულად მოუარონ, არამედ უნდა შეეცადონ მოვლის კუთხით მინიმალური დარღვევებისა და მცირე პრობლემების მოგვარებას.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ-ის მიერ უნდა მოხდეს აბსოლუტურად ყველა ციფრის კონკრეტული დასაბუთება და დაზუსტებული მონაცემების წარმოდგენა, რადგან არის ისეთი ფაქტები, როცა ა(ა)იპ-ის წლის ბოლოს ან დააკლდა თანხა ან მორჩა. საკრებულოს მიერ კი უნდა მოხდეს მათ მიერ წარმოდგენილი პროექტის დეტალურად და მუხლობრივად განხილვა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე** დაეთანხმა კოლეგას და აღნიშნა, რომ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა თითოეულ ა(ა)იპ-სთან ერთად იმუშაოს და გაუკეთოს დეტალური ანალიზი მათ მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტს. ამასთან, ა(ა)იპ-ის მიერ წარმოდგენილი მონაცემები უნდა იყოს მყარად დასაბუთებული და ჩამოყალიბებული, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგეს ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი**.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ოქტომბრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიაძე**. მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში შემოსულობებმა 14227214.41 ლარი შეადგინა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 5943383.76 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 66,75, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 183000 ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 2993932.67 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დასაფინანსებლად 744795 ლარი, სპეც-ტრანსფერი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებისათვის 726722 ლარი, განათლების (საჯარო სკოლების) ღონისძიებისათვის 824002.86 ლარი, სტიქიის პრევენციის ღონისძიებისათვის 375160 ლარი, ტრანსფერი ამბულატორიებისათვის-95779 ლარი მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად. საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 14227214.41 ლარი შეადგინა, რაც წლიურ საპროგნოზო მაჩვენებლის 77,2%-ს შეადგენს, ქონების გადასახდის შემოსავლები წლიურ გეგმასთან

მიმართებაში შესრულებულია 88,1%-ით და საწარმოთა ქონების გადასახადი- 1145501.14 ლარი, სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 1019044.66 ლარი, გეგმის 109,1%, მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 140254.57 ლარი, იჯარით გაცემული ქონებიდან შემოსავალი 9301.24 ლარი, ადმინისტრაციული მოსაკრებლის შემოსავალი -37379,13 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია -708857,77 ლარი წლიური პროგნოზის 101,3%, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები-78445,41 ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან (რეალიზაცია) მიღებულია 31325,93 ლარი, წლიური პროგნოზის 10,2%.

განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 15043584 ლარი. ოქტომბრის თვეში შტატით დასაქმებულ მუშაკებზე გაიცა 3853035,6 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 3510159,4 ლარი, მათ შორის შტატგარეშე მუშაკების ხელფასზე 1393115 ლარი, ოფისის ხარჯზე 543876,1 ლარი, ტრანსპორტის ხარჯზე 749419,8 ლარი, სოციალური პროგრამების ხარჯებზე 467143,96 ლარი, სხვა ხარჯების 261110 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია 6557153,4 ლარი.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის **როლანდ ლაშხიას** განმარტებით, დღეის მდგომარეობით მართალია, ბიუჯეტი შესრულებულია 95 %-ით, მაგრამ მიუხედავად ამისა ხარჯვით ნაწილში არ არის ასეთი დადებითი სიტუაცია. მაგალითად, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მომსახურებისა და კეთილმოწყობის ცენტრს აქვს გარკვეული პრობლემები სათადარიგო ნაწილების მოვლა-შეძენასა და სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით, რადგან ზოგიერთი სათადარიგო ნაწილი თითქმის თვითონ ტექნიკის ფასი ღირს. გარდა ამისა, მანქანების ნაწილი უკვე გამოსულია მწყობრიდან. ყოველივე აქედან გამომდინარე, გარკვეული სახის რადიკალური ზომებია მისაღები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს **ალექსანდრე მახათაძეს** მიაჩნია, რომ საკითხის მიმართ არის არასწორი მიდგომა, რადგან ტენდერის შედეგად რატომ უნდა იხდიდნენ 2-ჯერ და სამჯერ მეტ თანხას სათადარიგო ნაწილის შეძენასა და სარემონტო სამუშაოებზე, როცა ამის გაკეთება გაცილებით იაფად შეიძლება. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის აზრით, ასეთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტების შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფაც უნდა ხდებოდეს.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის **როლანდ ლაშხიას** განმარტებით, ნოემბრის თვეშიც გაგრძელდება სტაბილური შემოსავლები. მისი აზრით, ხარჯვით ნაწილში არსებული ესა თუ ის პრობლემა ერთი ან რომელიმე ა(ა)იპ-ის ბრალი არ არის, არამედ ეს გამოიწვია შესრულების პროცესში გარკვეულმა არათანაბარმა მიდგომამ. ყოველ ა(ა)იპ-ის დაგეგმილი ბიუჯეტის შესაბამისად უნდა მოეთხოვოს შესაბამისი პასუხისმგებლობა, რადგან ბიუჯეტი, არსებული რესურსის და შესაძლებლობის გათვალისწინებით მოთხოვნის შესაბამისი ვერ იქნება, ამიტომ აუცილებელია სწორი და რაციონალური ხარჯვა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ასევე შეეხო ბავშვების ტრანსპორტირების საკითხს და აღნიშნა, რომ ეს პრობლემა არც თუ იოლი მოსაგვარებელია, რადგან სათანადო ფინანსური უზრუნველყოფის გარდა საკითხს ახლავს სხვა უდიდესი პასუხისმგებლობაც.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან განმარტა, რომ განვლილი პერიოდის ბიუჯეტი 78 %-ით არის შესრულებული. მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო სტაბილური შემოსავალი და სავარაუდოდ, არანაირი პრობლემა წლის ბოლომდე არ შეიქმნება.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებამ**. მან აღწერა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნიგოთში (ქვიანში) მდებარე ამბულატორიის შენობის, N6-ი 14.72 კვ.მ. ფართი ოთახის (ს/კ 27.04.50.282)) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/ნ 233731478) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან აიპის აღნიშნული უძრავი ქონება ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად, კერძოდ სოფლის ბიბლიოთეკის განსათავსებლად. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა 2019 წლის 10 ოქტომბრის N1945 მოხსენებით ბარათზე დამატებით განმარტა, რომ სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 27.04.50.282) კერძოდ: ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (სოფ. ქვიანი) ამბულატორიის შენობა-ნაგებობაში - N6 ოთახი, ფართით- 14.72კვ.მ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად - აუქციონის გარეშე, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“ (ს/ნ 233731478)

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“

პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ**. მისი განმარტებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლადის, 2019 წლის 15 ოქტომბრის N1/1-5187 ბრძანების თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, დამატებითი ქონების სახით გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ორი ერთეული ნაგავმზიდი და 150 ცალი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერი. აღნიშნული მოძრავი ქონების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაფუძნებული ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ (ს/ნ 433649322) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან აიპის ის ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციის განსახორციელებლად. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გაცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ**. მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულების N4 დანართში მითითებული ავტომობილის (VAZ 2107; გამოშვების წელი 1999. მწვანე - 8/8; სედანი; სარეგისტრაციო ნომერი MAC-002) საწყისი საპრივატიზებო საფასური შეადგენდა 1200 ლარს; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის და განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით გამოცხადებულ ამ მოძრავი ქონების ფასი შემცირებული იქნა 50%-ით. მიუხედავად ამისა ავტომობილის პრივატიზება არ მოხდა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად თუ არ მოხდება 50%-მდე შემცირებული საპრივატიზებო საფასურით ქონების პრივატიზება, ასეთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ზემოთ აღნიშნული ავტომობილის საწყისი საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს თავდაპირველი ღირებულების 30%- 360 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განცხადებით, საახალწლო სამზადისთან დაკავშირებით საჭიროა გარკვეული ფინანსები. დაიგეგმება კულტურული ღონისძიებები, გამოსაცხადებელი იქნება ტენდერი, ამიტომ ამ კუთხით სასწრაფოდ უნდა დაიწყონ ამ დღეებში მუშაობა, რათა საკრებულოს სხდომაზე დროულად იქნას წარმოდგენილი საკითხი.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ **ბესიკ კუპრაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა კომპანია „რეალ ექსპერტი“-ს საქმიანობასთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, აღნიშნულმა კომპანიამ სოფელში ჩაიბარა ინფრასტრუქტურული ობიექტები, რომლებიც აღმოჩნდა, რომ არაა ხარისხის შესაბამისი. კომპანიის მესვეურების განცხადებით, ობიექტი ჩაბარების დროს იმყოფებოდა კარგ მდგომარეობაში. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის თქმით, ხომ უნდა გაძლოს ობიექტმა ცოტა ხანს, მაინც. მას აინტერესებს, რა ხდება ამ კომპანიასთან დაკავშირებით და თუ

არსებობს რაიმე ბერკეტი, რომ „რეალ ექსპერტი“ საერთოდ მოიშორონ, რადგან რეალურად გამოდის, რომ ამ ხალხს ტყუილად უხდიან ფულს.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, მიმდინარე წელს უკვე გაუვიდა კომპანიას ხელშეკრულების ვადა. ბიუჯეტში ამ კუთხით გათვლილია თანხა, გამოცხადდება ახალი ტენდერი და ვინც მოიგებს, ის იქნება პასუხისმგებელი. არაა გამორიცხული, რომ ისევ „რეალ ექსპერტი“ შემოვიდეს.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის **ბესიკ კუპრაძის** თქმით, კომპანია აბარებს ობიექტს და მიდის. შემდეგ კი ადგილი აქვს ურთიერთგადაბრალებებს, მაგრამ პასუხისმგებელი არავინაა, მოსახლეობას კი ადგილობრივ მესვეურებთან აქვს პრეტენზიები. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ წამოაყენა წინადადება, რომ შეიქმნას რაიმე კომისია ან დროებითი სამუშაო ჯგუფი.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ თავის დროზე მთავრობამ გამოაცხადა ტენდერი, რომელიც მოიგო კომპანია „რეალ ექსპერტმა“. მუნიციპალიტეტის მერს მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ასევე შევლენ მერის წარმომადგენლები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ სამუშაო ჯგუფის შექმნას აქვს თავისი პროცედურები, ასევე აუცილებლად ჭირდება შესაბამისი პროფესიონალი სპეციალისტები, რომლებიც კომპეტენტურები იქნებიან.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ძალიან კარგად იცნობს და ეჭვიც არ ეპარება მუნიციპალიტეტის მერის პატიოსნებაში, მაგრამ ხალხში არსებობს გონივრული ეჭვი სატენდერო კომისიასთან დაკავშირებით. მან მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხომ არ გადახედა ან რაიმე ცვლილება ხომ არ განახორციელა ამ სატენდერო კომისიასთან მიმართებაში, რადგან საზოგადოებაში გავრცელებული იყო სხვადასხვა დაუზუსტებელი ინფორმაცია.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ გარკვეულწილად შეიცვალა სატენდერო კომისია, რომელშიც სამი ახალი წევრი იქნა შეყვანილი. ამჟამად ყველაფერი ხდება ფორმულის მიხედვით და ვადის გათვალისწინებით. მას შეუძლია დაშალოს, მაგრამ ამ შემთხვევაში გარკვეულ პროცედურებთანაა დაკავშირებული. ამასთან არაა გამორიცხული, რომ ტენდერი ჩავარდეს. ფაქტიურად, ყველაფერი გამოაცალეს მუნიციპალიტეტებს და თვითმმართველობას. ახლა ყველაფერი ხდება კანონის და ფორმულის მიხედვით.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ თუ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე საუბრობს დაშლის კუთხით, მაშინ მას ეთანხმება. ამის შესახებ საკრებულოს და ბიუროს სხდომაზეც არაერთხელ გამოუხატავს თავისი მოსაზრება, რომ აუცილებელია დაშლა. ამის შემდეგ ის შეეხო სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხს და აღნიშნა, რომ სრულებით არ ჭირდება სამუშაო ჯგუფი იმის

დადგენას, როგორ უხარისხოდ გაკეთდა 2018 წელს ჯიხეთის მონასტერთან მისასვლელი გზა, რომელიც მწყობრიდანაა გამოსული. ასევე სამარცხვინოა შემდეგ გაკეთებული ორ კილომეტრიანი გზის მონაკვეთი. ყოველივე ამის დადგენას არ ჭირდება შესაბამისი სპეციალისტები, თორემ როგორც საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, ასევე მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები ერთი ნახვით მიხვდებიან, თუ რასთან აქვთ საქმე. უხარისხოდ გაკეთებული დატოვეს მოსახლის წინ ხიდი, ასევე, უხარისხოდაა გაკეთებული მოაჯირი სოფელ ქვიანში. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე არ ამბობს, რომ არაფერი არ კეთდება. გარკვეული რაღაცეები ნამდვილად კეთდება, მაგრამ კეთდება უხარისხოდ. მან მიმართა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს, რომ ხუთ კაციანი კომისია შეიქმნას და მათთან ერთად მოხდეს ობიექტების დათვალიერება.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის **გიორგი გვარჯალაძის** თქმით, კომპანიას, რომელსაც თითქმის ყველგან უარყოფითი დასკვნა აქვს და ამასთან საქმე პროკურატურაშია, არ შეიძლება რომ დაიბლოკოს?

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის **გიორგი ჩახვაძის** აზრით, დამატებითი კომისიის საჭიროებას ვერ ხედავს, რადგან საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას შეუძლია ნებისმიერ ინფრასტრუქტურულ პროექტზე დადოს შესაბამისი დასკვნა.

მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** დაეთანხმა ამ წინადადებას და აღნიშნა, რომ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნის პარარელურად მერიის შესაბამისი სამსახურიც დააფიქსირებს თავის მოსაზრებას, რის შემდეგაც გადაიგზავნება ოფიციალური წერილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ წინა მოწვევის საკრებულოში გახლდათ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე. ის ადგილზე მიდიოდა და ათვალიერებდა ობიექტებს. მისი თქმით, დაევალოს აღნიშნული კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს, მივიდნენ ობიექტზე, ნახონ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები და დადონ შესაბამისი დასკვნა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარემ **სპარტაკ კვაჭაძე** აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრში მდებარე სკვერში მოსაწყობებულია დაგებული ფილები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე** დაინტერესდა კომპანია „რეალ ექსპერტი“-ს მიერ დასკვნის გაკეთების შემდეგ ან მანამდე ობიექტებს თუ ამოწმებს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები. მისი აზრით, თუ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური სამუშაოებზე აქტს არ ადგენს, „ფორმა 2“-ს არ აკეთებს და კომპანია „რეალ ექსპერტთან“ არ არის კოორდინაციაში, მაშინ რა საჭიროა ასეთი სამსახური. ხოლო იმ დაპროექტებას, რასაც მუნიციპალიტეტი აკეთებს, რამდენიმე კაციც ეყოფა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ჩაშლილი პროექტების მეშვეობით საშუალებას მისცემენ ადგილობრივ ინდ. მეწარმეებს თავიანთ სოფლებში გარკვეული სამუშაოები შეასრულონ. აქედან გამომდინარე, ნაკლებად ექნებათ ისეთ პრექტენზიებთან საქმე, რადგან ეს ადამიანები საკუთარ სოფელში გაცილებით ხარისხიანად და გონივრულად გააკეთებენ საქმეს.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო